# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 60 | კვირა, 29 სექტემბერი 1902 წ. | გაზეთის № 1939


## სამშობლოში

ამელია როსსელისა

— ისედაც თორმეტნი ვართ? გესმით თუ არა? თორმეტნი! ასეთ ვიწროობაში შეიძლება დაიხრჩოს ადამიანი!—მრისხანედ ჰყვიროდა ვაგონის ვიწრო კარებში მესამე კლასის ერთი მგზავრი.—შეგიძლიანთ დარწმუნდეთ!—განაგრძო მგზავრმა, მაგრამ როდესაც კონდუქტორი დაინახა, ცოტათი ვაგონის კუთხეში მიიწია.

— ვიწროობაა, მაგრამ მაინც უნდა დაუთმოთ ადგილი,—დინჯად სთქვა კონდუქტორმა, მერე იმას მიუბრუნდა, ვინც უკან მისდევდა:

— შემოდით ჩქარა... ჰა, აჩქარდით... მომეცით თქვენი ბოღჩა...—და გაუწოდა ხელი.

— არა, არა...—შემკრთალის ხმით წარმოსთქვა ახალგაზდა დედაკაცმა,—მეც მოვერევი...

ერთი ხელი ვაგონის მოაჯირს მოსჭიდა, ხოლო მეორეთი გულზე მიიკრა ჩვრებში გახვეული რაღაცა. შევიდა რა ვაგონში, კარები მიხურეს და მატარებელიც დაიძრა. ქალი წაბარბაცდა და უთუოდ წაიქცეოდა, რომ იმავე მგზავრს არ დაეჭირა, რომელიც იძახდა,—ვიწროობაო, და ვაგონში არ უშვებდა. ამ დროს ბოღჩა, რომელიც ხელში ეჭირა, გაიხსნა და ბავშვის პატარა ხელი გამოჩნდა.

— აბა ხალხო, გაიწგამოიწით, ადგილი მოვცეთ,—მიჰმართა ვაგონში მყოფთ იმავე მგზავრმა.—მთელი გზა ხომ ფეხზე არ იდგება!..

— აი იმათ მიიწიონ,—სთქვა მეორემ და ხელი პირდაპირ გაიშვირა. მაგრამ იქ არც კი განძრეულა ვინმე. საცოდავი ქალი ისევ ისე ფეხზე იდგა, მხოლოდ ცალი ხელი ბარგის ჩასაწყობ ბადესთვის წაევლო, რომ არ წაქცეუ ლიყო.

— თქვენი ნებაა, ბატონებო, მაგრამ მაინც, რამდენადაც შესაძლებელია, მიიწიეთ. გამოიჩინეთ გულკეთილობა, როგორც ქრისტიანებს შეჰფერის!—შებრალეჰის კილოთი სთქვა ერთმა მოხუცმა დედაკაცმა და ღიმილით დაუმატა:—ჩვენთვისაც კარგია, გავთბებით...

ამ თხოვნამ უქმად არ ჩაიარა: ყველამ მიიწ-მოიწია, რომ პატარა ადგილი მიეცათ. მხოლოდ კუთხეში მიკრუნჩხული კაცი არ inძრეოდა და მაგრა ხვრინავდა.

— დიდად გმადლობთ,—სთქვა ახალგაზდა ქალმა და საჩქაროდ ჩამოჯდა. შემდეგ ჩვრებიდან გაანთავისუფლა გაყინული ხელი და მოწიწებით და ფრთხილად დაუწყო სრესა.

— ძნელია ბავშვით მგზავრობა...—დაიწყო მოხუცმა დედაკაცმა.

— ბავშვია? ეხლა კი მოსვენება აღარ გვექნება!—სთქვა მწუხარედ ერთმა ახალგაზდა კაცმა.

— ნუ გეშინიანთ, ჩემი ბავშვი არ შეგაწუხებთ!—უცნაურის ღიმილით მიუგო ახალგაზდა დედამ.

— განა, ავად არის?

ქალმა პასუხი დააგვიანა; მერე ათრთოლებულის ხმით სთქვა:

— დიახ, უქეიფოდ არის,—სთქვა ესა და გაწითლდა.

— შორიდან მოდიხართ?

— ამერიკიდან. დღეს გადმოვედი გემიდან...

ამერიკის გაგონებაზე ბევრმა თავისდა-უნებურად ამოიოხრა. სხვებიც აღმოჩნდნენ ამერიკიდან მომავალნი.

— მერე, როგორ გაბედეთ ამ სიშორეს მარტომ წამოსვლა?

— არ წამოვიდოდი, მაგრამ ჩემი ქმარი...—აღარ დაათავა და ცრემლ-მორეულმა სამგლოვიარო კაბაზე დაიხედა.

— მაშ სად მიდიხართ ეხლა?

— სამშობლოში,—და დაუსახელა პატარა დაბა, გენუესა და რომის შუა მდებარე.

— ფული ბევრი გადაარჩინეთ ამერიკაში?

ქალმა „არას“ ნიშნად თავი გაიქნია მხოლოდ.

ახალგაზრდა ქალის სიტყვების შემდეგ მგზავრნი ერთმანეთს მოუყვნენ თავიანთ სიღარიბისა და მწუხარების ამბავს.

— ბევრი შრომა და ტანჯვა გამოვიარე, ვიდრე სამას ფრანკს შევაგროვებდი. მერე რა? ეს ფული სულ ექიმებსა და



ყვავილის გამყიდავი.—სურათი ტამბლის.

წამლებს მოუნდა,—დაიწყო ავადმყოფმა ყმაწვილმა კაცმა, რომლის ფერმიხდილი სახე ნათლად ამტკიცებდა წამლობის უნაყოფობას.

— მე კიდევ სახლ-კარი და მიწა-ადგილი გავყიდე, რომ იქ გადავსახლებულიყავ... ყველანი იქ დავმარხე: ციებ-ცხელებამ იმსხვერპლა.

— აი რა დიდი შეძლების პატრონი ვარ!—წამოიძახა მწარე ღიმილით მესამემ და ათი ლირი გაიშვირა.

მატარებელი კი მიჰქროდა და აინუშიაც არ აგდებდა იმ სიღარიბე-სიღატაკეს, რომელსაც ვაგონის ოთხკედელ შორის დაებუდა. შიგ მყოფთა გოდება და უკმაყოფილება ღია ფანჯრიდან გადიოდა და ცის სივრცეში იკარგებოდა.

— თქვენი ბავშვი საოცარი წყნარი და მშვიდი ყოფილა,—დაიწყო ისევ მოხუცმა დედაკაცმა.

დედამ ოდნავ გაიღიმა.

— ვაჟია თუ ქალი?

— ვაჟია,—ძლივსა სთქვა დედამ.

— რამდენი თვისაა?

— ცხრისა.

— რა ჰქვიან?—ცნობის მოყვარეობით ჰკითხა მოხუცმა დედაკაცმა.

— ფრანჩესკელო... ის, რაც მამას ერქვა...

— ღმერთი იყვეს მაგის მფარველი!

ამ სიტყვების გაგონებაზე ახალგაზდა დედა შეჰკრთა.

— აბა ერთი დამანახვეთ თქვენი პაწია...

— არა, არა!—თითქოს შეშინებულმა შესძახა დედამ და მერე ჩუმად დაუმატა:—ჯერ სძინავს...

შუადღეც დადგა. სიცხით შეწუხებული მგზავრები გაჩუმებულიყვნენ. ზოგმა ჭამას მიჰყო ხელი: კალათებიდან გახვეული საგძალი ამოიღეს. გამოიღვიძა ვაგონის კუთხეში მწოლარე სქელმა მგზავრმაც, რომელმაც სადგურზე დამარილებული თევზი და პური იყიდა და საუზმეს მიჰყო ხელი. ახალგაზდა დედამაც გაბედა ლუკმის შეჭმა: ამოიღო პურის ყუა და დაუწყო ღრღნა.

— განა, თქვენ პატარა ბავშვს ძუძუს არ მოაწოვებთ? — ჰკითხა მოხუცმა დედაკაცმა:— ხუთ საათზე მეტია, რაც არ მოგიწოვებიათ...

— ეხლავე, ეხლავე... მიუგო დედამ და შემკრთალი თვალები გარეშემო მოავლო.

გაათავა თუ არა პურის ყუა, ქალმა ხელის კანკალით ჩვრების ხსნა დაიწყო. მოხუცი ამ დროს თანაგრძნობით და ცნობის-მოყვარეობით შეჰყურებდა. ახალგაზდა დედამ ერთი ფეხი პირდაპირ სკამს მიაბჯინა, დაიკუზა და გახსნილ გულზე მიიდო ბავშვის თავი, რომელიც ოდნავ გადაწეულ ხელსახოციდან არც კი სჩანდა. კაცებმა იქით-აქეთ მიიწიეს, რომ ქალი უკეთ მოთავსებულიყო; საზოგადოდ პატივის-ცემით ეპყრობოდნენ ახალგაზდა დედას. იქნება იმის დანახვაზე თვითეულს თავისი ოჯახი მოაგონდა, ცოლი, შვილები; მოაგონდა ოჯახის კერასთან გამოცდილი სიმწარე და სიხარული...

გულ-შემატკივარი ბებერი მაინც არა სცხრებოდა.

— თქვენ, მგონი, საკმაო რძე გაქვთ?—დაიწყო იმან.

— ბევრი, ძრიელ ბევრი,—სთქვა ახალგაზდა ქალმა და მოულოდნელად ქვითინი ამოუშვა.

სიცხისაგან შეწუხებული მგზავრები მიჩუმდნენ; ზოგი თამბაქოს სწევდა, ზოგიც სთვლემდა. ჰაერი შეხუთული იყო, არსაიდან ნიავი არ უბერავდა.

მატარებელი კი მიჰქროდა.

ახალგაზდა დედამ ბავშვს ხელით რწევა დაუწყო.

— ნანინა, ჩემო პაწიავ,—ჩუმად დაღიღინებდა დედა და იმის ნანაზე ზოგი ერთი მგზავრიც ჰხუჭავდა დაღლილს თვალებს...

*
* *

მაგრამ მალე გაისმა ორთქმავალის სტვენა. კონდუქტორმა სადგურის სახელი წამოიძახა; ახალგაზდა ქალი წამოხტა და მსწრაფლ კარებს მივარდა—უნდოდა ჩქარა გაეღო.

— მოვდივარ, მოვდივარ,—დაიძახა კონდუქტორმა და მოირბინა მეორე მხრიდან; ამ დროს ქალი მიუბრუნდა თანამგზავრებს და უთხრა:

— გისურვებთ ყველას გზა-მშვიდობისას!—და სწრაფად გადახტა ძირს.

მატარებელი ისევ დაიძრა, ქალი კი უძრავად ერთ ადგილას იდგა და გასცქეროდა მიმავალ მატარებელს.

— რას უდგეხარ აქ, თითქო პატარა ბავშვი იყო?—დაიყვირა ვილაცამ. შეშინებული ქალი მიტრიალდა, ბავშვი გულზე მიიკრა და სწრაფის ნაბიჯით გზას გაუდგა.

რა ვიწრო სადგურს გასცდა, დაადგა ბილიკს, რომელიც მაღალ ბალახში მიდიოდა. ქალი მიეჩქარებოდა, თან დაკვირვებით წინ გაიყურებოდა. როდესაც კარგა მანძილი გაიარა, შესდგა, იქვე არხის ნაპირას ჩამოჯდა და წყნარად დაუწყო ხსნა ჩვრებსა და ხელსცახოცებს... როდესაც გახსნა, სიყვარულით დაუწყო ყურება თავის ბავშვს; სახეზე სასოწარკვეთილება აღბეჭდოდა: თითქოს არ შეეძლო მოჰკარებოდა უსულო სხეულს ბავშვისას.

დიახ, მკვდარია! მოკვდა ორის დღის წინად, როდესაც გემზე იყვნენ. ეშინოდა, ზღვაში არ გადაეგდოთ, ამიტომ მოიკრიფა ძალღონე, გახვია ბავშვი და დაწყლულებულის გულით კომედიის თამაშს შეუდგა...

მაგრამ ეხლა გადარჩენილია! ზღვა ველარ წაართმევს ერთად ერთს საუნჯეს, იმ ძვირფას საუნჯეს, რომელიც შორეულ და შეუბრალებელ ქვეყნიდან მოიტანა.

შიში გაუქრა.

— ფრანჩესკელო, ჩემო დაუფასებელო ფრანჩესკელო!--შეჰყვირა დედამ და გატაცებით დაუწყო კოცნა დახუჭულ თვალებს და გალურჯებულ პაწია ტუჩებს:—ჩემო ძვირფასო შვილო!



ამორძლები საქართველოში.—გადაღებულია ტფილისის მუზეის კედლიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს ადგა, აილო გვამი და მინდორ-მინდორ თავ-თავებს შორის საჩქაროდ გზას გაუდგა.

მიდიოდა აგერ იქ, სადაც სამშობლო სოფლის სასაფლაოს შავი ჯვრები მოსჩანდა...

ოლბეჟ

## ნარევი

**ქარით ელექტრონის ძალის დამუშავება.** ჰამბურგის პროფესორს კუცს აუსრულდებია თავისი წადილი: ჰამბურგში თურმე დიდი ქარი იცის და ამ პროფესორს მოუნდომებია ქარის ძალა ელექტრონის ძალის დამუშავებას მოახმაროს. განსაკუთრებით იმაზე ჰფიქრობდა თურმე პროფესორი: როგორ მოახერხოს ქარის ძალის გამოყენება, როცა იგი სხვა-და-სხვა მხარისაკენ ჰქრის. იფიქრა და კიდეც გამოიგონა მთელი რთული მოწყობილობა ელექტრონის ძალის შემკრებისა. ამისათვის კუცს გამოუყენებია ქარის დიდი წისქვილი. ელექტრონის ძალის შემკრები შეუერთებია წისქვილის თვალთან იმისათვის, რომ თანასწორ ზომიერად დატრიალებულიყო როცა ქარი იკლებდა და თვალს აღარ შეეძლო ტრიალი. ძლიერის ქარის დროს ამ წისქვილის ძალა 30 ცხენის ძალას იძლეოდა, რომელიც აკუმულატორის დიდს ბატარეიაში ელექტრონის ძალას ჰკრებდა და ამ ძალით მთელ არე-მარეს ანათებდნენ.

კუცის გამოგონებამ ფეხი მალე მოიკიდა ადგილობრივ და ამ რიგად სოფლების განათებაც დაიწყეს იქ. რა თქმა უნდა, ამით სხვა განათლებული ხალხიც მალე ისარგებლებს და ქარის შემწეობით პატარა სოფლებიც სულ ელექტრონით განათდება. ამას გარდა, ელექტრონის ძალას სხვა საზოგადო ძალის მისაღებადაც იხმარებენ. როგორც უანგარიშნიათ, სარგებლობასთან შედარებით, ხარჯი თურმე იმდენად ბევრი არ სჭირდება ამის მომართვა-მოწყობილობას.

—

**რომის პაპი და იმისი გამდელი.** რომის პაპს ლეო მე-XIII გამდელი ჰყოლია და ეს გამდელი დღესაც ცოცხალია. პაპს მიუპატიჟნია სანახავად თავისი გამდელი ანნა მორენი თავისს სასახლეში. დედა-კაცი ამ ჟამად 104 წლისაა. დღევანდელს პაპს რომ გამდლობდა, 15 წლისა თურმე ყოფილა, პატარა კი—ხუთის წლის. რა თქმა უნდა, ეს ორი ღრმად მოხუცი ტკბილად მიეგებებოდნენ ერთმანერთს.

—

**უბედური შემთხვევა.** მონასტრის ახლოს, მაკედონიაში, შემდეგი ამბავი მომხდარა: გლეხი ტყეში ყოფილა, დაღალულა და დასასვენებლად ხის ძირში დაწოლილა. რამდენისამე ხნის შემდეგ გამოუღვიძნია და გამშაგებულს საზარელის ხმით ყვირილი დაუწყია; მერე ორის საათის ტანჯვის შემდეგ მომკვდარა. მიცვალებული გაუჭრიათ და საბრალოს კუჭიდან ცოცხალი გველი-კი ამოუღიათ. თურმე მძინარეს პირში ჩაჰძრომოდა.

—

**კუდიანი ვარსკვლავი** მოჩანს თურმე ამ ჟამად ინგლისში და ისე ღამაზადაც მოჩანს, რომ უიარაღოდაც-კი კარგად ჰხედავენ თურმე ინგლისელები. ვარსკვლავთ-მრიცხველები ამ ვეებერთელა ვარსკვლავს „1902 წლის ვარსკვლავს“ ეძახიან.

—

**ვარსკვლავთ-მრიცხველნი დიდხანს სცოცხლობენ.** ვისაც სიცოცხლე სწყურიან, იმან ვარსკვლავთ-მრიცხველობას უნდა მიჰყოს ხელი. ინგლისელი სტატისტიკოსი, პროფესორი ჰოლდენი ამტკიცებს, რომ მეცნიერთა შორის ვარსკვლავთ-მრიცხველნი უველაზე დიდხანს სცოცხლობენო. ადამიანთა სიცოცხლის ხანგრძლივობის გამოსახატავად საშუალო რიცხვს თუ ავიღებთ, ეს რიცხვი 33 წელიწადს არ აღემატება. ჰოლდენს ვარსკვლავთ-მრიცხველთათვის ასეთ საშუალო რიცხვად 74 წელიწადი მიაჩნია, ლიტერატორთათვის—60 წ., ხოლო არტისტთათვის 59 წელიწადი. 1000 ვარსკვლავთ-მრიცხველიდან 596 კაცმა 70 წელიწადი იცოცხლა, 206 კაცმა 79 წ., 129—80 წ., 15—99 წ., ხოლო სამი ვარსკვლავთ-მრიცხველი 111 წელსაც კი გადასცილდა.

ჰოლდენის სიტყვით, ვარსკვლავთ-მრიცხველნი მშვიდობიანად სცხოვრობენ, უზრუნველ ყოფილნი არიან ქონებრივად; ამით აიხსნება, რომ დიდხანს სცოცხლობენო.



იესო ქრისტე და მოქეიფე ქალი.—სურ. სემირადსკისა.

## აზრები და აფორიზმები

სიყვარულის საქმეში ვერცხლის გარევა ისევე ამღვრევს ბედნიერებას, როგორც კამკამა წყაროს—ტალახი.

**

აზროვნობა კუჭის მოთხოვნილებამ დაჰბადა, მაშასადამე აზროვნობის სამშობლო... კუჭია.

**

ბედნიერება რომ ფულით იშოვებოდეს, კაცობრიობა მიწასთან გასწორდებოდა.

**

სადაც სიყვარულია, იჭვიანობაც იქ არის.

**

სიყვარულის დაფარვა ისევე ძნელია, როგორც ცეცხლი ბავშვის ერთს ადგილას გაჩერება.

**

სადაც ცხოვრებას ანალიზს უშვრებიან, პესიმიზმიც იქ არის.

## ქ ა ლ ა ქ ი ს   ს ა ქ მ ე ე ბ ი




აქ მზადდება საუკეთესო წნილი.

## ქ უ თ ა ი ს ი ს   ს ა ს ტ უ მ რ ო ს   ბ ა ღ შ ი



— რავა შეიძლება, ბატონო დავით, ასთე! ჯერ ცხრა საათი არცკია და შემოგვიზრზოლეს!...
— ერთად-ერთი საშუალება—ცხვირების ახვევააა.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი.**

Доз. ценз. Тифлисъ, 28 Сентября 1902 г. Электропеч. груз. изд. т—ва. (ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხ—ისა,